საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საგეგმო-საფინანსო განყოფილების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

2008 წელი

1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგეგმო-საფინანსო განყოფილება წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2. დებულება განსაზღვრავს საგეგმო-საფინანსო განყოფილების ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. ფუნქციები

2.1. მიმდინარე ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის (სასწავლო-სამეცნიერო ბიუჯეტური, სამეცნიერო გრანტების და ეკონომიურ საქმიანობაზე მყოფი დანაყოფები) საფინანსო გეგმების შედგენა;

2.2. ბიუჯეტური (სასწავლო, სამეცნიერო) და ეკონომიკური საქმიანობის (ფასიანი სწავლება, სამეცნიერო-სახელშეკრულებო თემატიკა, იჯარა და სამეცნიერო ობიექტები) საგინანსო გეგმების და საშტატო განრიგების შედგენა.

2.3. ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის მეშვეობით სახელმწიფო გრანტით ჩარიცხული სტუდენტების რეგისტრაცია და დაზუსტებული სიების წარდგენა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ფინანსური ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.

2.4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისადმი ვალდებულების დოკუმენტების, ყოველთვიური და კვარტალური განცხადების (ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით) შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და წარდგენა.

2.5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული დაფინანსების ფინანსური უზრუნველყოფა შესაბამისი ხელშეკრულებებით (შეთანხმებით) და შემდგომში ამ დაფინანსების დამოწმება ყოველკვარტალური შედარების აქტებით.

2.6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან მიღებული დაფინანსების ხელშეკრულებებით (შეთანხმებებით) უზრუნველყოფა, სისტემატიური კონტროლი თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე, ხარჯების ეკონომიკური კლასიფაკაციის მიხედვით და შემდგომში ამ დაფინანსების დამოწმება ყოველკვარტალური შედარების აქტებით.
2.7. დამტკიცებული საშტსტო განრიგების მიხედვით თანამშრომელთა მოძრაობის კონტროლის უზრუნველყოფა.
2.8. წლიური და კვარტალური სტატისტიკური ფორმების გეგმიური ნაწილის შედგენაში მონაწილეობა.
2.9. წლიური და კვარტალური საბუღალტრო ბალანსის ფორმების გეგმიური ნაწილის შედგენაში მონაწილეობა.
2.10. ფინანსების რაციონალური, ეფექტური და მიზნობრივი ხარჯვის წინადადებების შემუშავება და დანერგვა.
2.11. ხელმძღვანელი და სხვა სტრუქტურული ორგანიზაციებიდან მიღებული წერილების გაცნობა და დამუშავება.
2.12. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფებში საფინანსო-სამეურნეო მონიტორინგის დაწესება და დამუშავება.
2.13. მიმდინარე საკითხების განხილვა და დამუშავება.

3. განყოფილების სტრუქტურა

განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი.
3.2. განყოფილებაში სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად.
3.3. განყოფილების თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს ადმინისტრაციის ხალმძღვანელი.
3.4. განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია სტუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

4. დასკვნითი დებულებები

4.1. დებულება ძალაშია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
4.2. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და განყოფილების ლიკვიდაციის შემთხვევაში.